MES 6 22 0000111644

04/02/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 21.01.2022 – 22.01.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:03 სთ
სხდომის დასრულების დრო: 00:05 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია (I-IV საკითხები)
სხდომის მდივანი: მაკა კაჭარავა (V საკითხი)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანი - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. მარიამ შენგელია - სსიპ - ივანეჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;

4. ანა ფირცხალაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს“ სამეცნიერო კვლევების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
5. ელენე ჟურავლოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანეჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
7. ანზორ ბერიძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
8. გაიოზ ფარცხალაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
10. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს „საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის“ საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
11. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
12. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
13. დიანა მჭედლიშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
14. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
15. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
16. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
17. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
18. ნინო ინასარიძე - „CNFA საქართველოს“ გარემოს დაცვის მენეჯერი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვაზე სათათბირო ხმის ულებით მოწველი წევრები:

- ალეკო ჯინჯიხაძე
- გიორგი ნეფარიძე

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნიკოლოზ ფარჯანაძე	

		უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2	**ქეთევან ინანიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
3	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	**თამარ აფრასიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
5	**თამთა ანთიძე**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
6	**ანა ჯავახიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
7	**სოფიკო ქურასბედიანი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
8	**ნინო გულიაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I, II, III
2	ნანული დანელია		უნივერსიტეტის ავტორიზაციის და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	I, II, III
3	ოთარ გელაშვილი		სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი	I
4	ნათია ბუთხუზი		სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის ხარისხისუზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	I
5	რამილ ზუკაკიშვილი		„საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I
6	რაულ თურმანიძე			I

		მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი	
7	ნუგზარი მურღულია	პროფესორი	**I**
8	გიორგი მუშკუდიანი	მოწვეული პროფესორი	**I**
9	პანტიკო თორდია	ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის ცენტრის მეთაური	**I**
10	დავით ბესტავაშვილი	საავიაციო აკადემიის ხელმძღვანელი	**I**
11	მზია ოსიაშვილი	ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის ცენტრის სკოლის უფროსი	**I**
12	მიხეილ როგავა	შპს „თამ მენეჯმენტის“ დირექტორის მოადგილე	**I**
13	რომან იჩქიტიძე	„თბილავიამშენის“ გენერალური დირექტორის მოადგილე	**I**
14	კახა ჟღენტი	შპს „თამ მენეჯმენტის“ დირექტორის მოადგილე	**I**
15	კოკა ჯაფარიძე	შპს „თამ მენეჯმენტის“ მთავარი კონსტრუქტორი	**I**
16	ერეკლე სამანიშვილი	ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის სარდლობის ავიაციის მთავარი ინჟინერი	**I**
17	გიორგი კაკაბაძე	„თბილავიამშენის“ ხარისხის მართვის სპეციალისტი	**I**
18	რუსუდან ქუთათელაძე	ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი	**II**
19	ნინო ჩიკვილაძე	ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**II**
20	რატი ბურდიაშვილი	„საბანკო პროცესების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**II**
21	გიორგი ცაავა	„საბანკო პროცესების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**II**
22	ლილი გვენეტაძე	ასოცირებული პროფესორი	**II**

23	მამუკა მაისურაძე		ასოცირებული პროფესორი	II
24	ნუგზარ წერეთელი		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანი	III
25	მაია მშვილდაძე		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	III
26	მამუკა მაისურაძე		ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	III
27	ნაზიბროლა კუციავა		„ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	III
28	ეკატერნე როჭიკაშვილი		პროფესორი	III
29	დავით წასიძე	ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	IV
30	გიორგი ტომარაძე		უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სპეციალისტი	IV
31	ბაკურ კვაშილავა		სამართლისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი	IV
32	თორნიკე შარაშენიძე		„საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	IV
33	ირინა ბაქრაძე		სამართლისა და პოლიტიკის სკოლის ხარისხის მენეჯერი	IV
34	გიორგი კობერიძე		„საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორი	IV
35	დიმიტრი კორძაია		მედიცინის ფაკულტეტის დეკანი	V
36	პაატა იმნაძე			V

		სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი, დავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე	
37	ნინო ჩიხლაძე		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V
38	ნატა ყაზახაშვილი		პროფესორი, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი, შპს აკადემიკოს ო. ღუდუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის დირექტორი	V
39	ნატო ფიცხელაური		ასოცირებული პროფესორი, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი	V
40	მაია ბიწკინაშვილი		ასოცირებული პროფესორი, მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	V
41	ირმა გრძელიძე		ასოცირებული პროფესორი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V
42	ნინო ქიმერიძე		ასოცირებული პროფესორი, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის, შეფასებისა და ანალიზის განყოფილების უფროსი	V

აკრედიტაციის ექსპერტები:

	სახელი, გვარი	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**

1	თამარ გვინიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მაია ბარამიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
3	ციცინო თურქაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
4	ირაკლი გორგილაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
5	ია ნაცვლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
6	თამარ ხატისაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
7	თამარ ლობჯანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
8	ჯილდა ჭეიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
9	ნათია ნოღაიდელი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
10	ირმა ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
11	მირანდა ნონიკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:03 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- დიახ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, თამთა ანთიძემ დააყენა შუამდგომლობა 2022 წლის 18 იანვრის საბჭოდან სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის„საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სათათბირო პროცესის და „საბანკო პროცესების მართვა“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვის მიმდინარე საბჭოზეგადმოტანის საკითხი და პირველ სამ საკითხად სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი საკითხების განხილვის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საბანკო პროცესების მართვა“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

1. პირველი საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საავიაციო ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინჟინერიის ბაკალავრი საავიაციო ინჟინერიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0716
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქუჩა N77, თბილისი, 0175, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა ნინო იმნაძემ, დავით კაპანაძემ და ელიზბარ ელიზბარაშვილმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

18-19 იანვრის აკრედიტაციის სხდომაზე საბჭომ ზეპირი მოსმენისა და განხილვის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება, რომ საკითხი გადადებულიყო აკრედიტაციის მომავალ საბჭზე განსახილველად და განხილვის პროცესში მოწვეულ იქნას ორივე დამატებითი ექსპერტი: ალექსანდრე ჯინჯიხაძე და გიორგი ნეფარიძე.

21 იანვრის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე მოწვეულ იქნა ორივე დამატებითი ექსპერტი (ალექსანდრე ჯინჯიხაძე და გიორგი ნეფარიძე) სათათბირო ხმის უფლებით.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

რადგან აღნიშნული საკითხის ზეპირი მოსმენა დაწესებულების წარმომადგენლების და ექსპერტების ჩართულობით განხორციელდა 18-19 იავრის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითი:

„სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა 21-22 იანვრის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გაგრძელებულიყო სათათბირო შესვენების ფარგლებში“.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 14
მოწინააღმდეგე: 0

15:20 საათზე საბჭოს შემოუერთდა ანა ფირცხალაშვილი;
15:29 საათზე საბჭოს სხდომა დატოვეს მოწვეულმა წევრებმა;
16:00 საათზე საბჭო დატოვა ანზორ ბერიძემ;
20:00 საათზე საბჭოს შემოუერთდა ანზორ ბერიძე;

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:

დაწყების დრო: 14:03
დასრულების დრო: 21:25

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხის გადადება საბჭოს უახლოეს სხდომაზე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის საბჭომ სათათბირო შესვენებაზე საკითხის განხილვის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საავიაციო ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი გადადებულიყო აკრედიტაციის საბჭოს მომავალ სხდომაზე განსახილველად.

2. მეორე საკითხი:სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საბანკო პროცესების მართვა“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ		
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბანკო პროცესების მართვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული

4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	22.05.2020, გადაწყვეტილება NMES92000402822
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა - 0412
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა - 0412	
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	მ.კოსტავას ქუჩა 77, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 0715, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა ნინო იმნაძემ, დავით კაპანაძემ და ელიზბარ ელიზბარაშვილმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, მაია ბარამიძემ, განაცხადა, რომ წინა აკრედიტაციის პროცესში გაცემული იყო ათი რეკომენდაცია და ერთი რჩევა - „სასურველია გონივრულ ვადებში პროგრამა შესაბამისობაში მოვიდეს ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“,აღნიშნულთან დაკავშირებით გაიცარჩევა, ვინაიდან თვითშეფასების ანგარიში წარმოდგენილი იყო 2019 წლის ბოლოს, რომელიც ძველი სტანდარტებით იყო გაკეთებული,

ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულების შესახებ:
1. პროგრამის მიზნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის და კომპეტენციების შესაბამისობის გასაუმჯობესებლად მიზანშეწონილია საგნობრივი კონცენტრაციების გაძლიერება ფინანსების და მენეჯმენტის მიმართულებით - ანგარიშის თანახმად, რომელიც დაწესებულებამ წარმოადგინა, რეკომენდაცია შეასრულა და სასწავლო კურსი „რისკოლოგია“ შეიცვალა ფინანსური რისკებით და სტრატეგიული მენეჯმენტით, ასევე დაემატა სასწავლო კურსი „მენეჯერული ეკონომიკა“, რამაც უზრუნველყო პროგრამის გაძლიერება ფინანსების და მენეჯმენტის მიმართულებით, რაც დასტურდება შესაბამისი სილაბუსების გაცნობითაც;
2. კურიკულუმის რუკაში ზოგ შემთხვევაში დარღვეულია ლოგიკური ბმა სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის, რეკომენდებულია აღნიშნული რუკის დაზუსტება და შესაბამისობაში მოყვანა - რეკომენდაცია გათვალისწინებულია, დაწესებულებამ გადაამუშავა კურიკულუმის რუკა, რითაც ლოგიკური ბმა სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, თუმცა ამ მიმართულებით ზოგიერთი დეტალი მაინც საჭიროებს დახვეწას;
3. სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობის გასაძლიერებლად აუცილებელია პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის შემდგომი გადამუშავება – არსებული კურსების გადახედვა/გაღრმავება ისეთი საკითხებითა და თემებით, როგორებიცაა მაგალითად:ფინანსური ანალიზი და პროგნოზირება, ფინანსური ინსტიტუტების მართვა, სტრატეგიული მენეჯმენტი, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS), მენეჯერული ეკონომიკა - თანდართული სილაბუსების თანახმადპროგრამაში მოხდა არსებული სასწავლო კურსების„კორპორაციული ფინანსები“, „ფინანსური სისტემების მართვა“, „ფინანსური რისკების სტრატეგიული მენეჯმენტი“ და „ფინანსური ანგარიშგება ბანკებში“ გაღრმავება აღნიშნული თემატიკით, რაც გაწერილი იყო რეკომენდაციაში და პროგრამას დაემატა არჩევითი სასწავლო კურსი „მენეჯერული ეკონომიკა“, რეკომენდაცია მეტწილად შესრულდა, თუმცა მნიშვნელოვანია მუშაობის გაგრძელება მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობის გაძლიერების თვალსაზრისით, მაგ., IFRS სტანდარტების სწავლება ბიზნეს საქმიანობის სრულ სპექტრში და არა მხოლოდ საბანკო დაწესებულებაში, ასევე მიზანშეწონილია პროგრამაში არჩევითი საგნების „მენეჯერული ეკონომიკა“ და „ფინანსური ინჟინერინგი“ მოხდეს სავალდებულო სასწავლო კურსებში გადატანა;
4. რეკომენდებულია გადაიხედოს ზოგიერთი საგნის სილაბუსი („საბანკო ლოჯისტიკა“, „რისკოლოგია“) საბანკო-საფინანსო სექტორის თანამედროვე გამოწვევებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით - გადამუშავდა სასწავლო კურსი „რისკოლოგია“, შეიცვალა სასწავლო კურსით „ფინანსური რისკების სტრატეგიული მენეჯმენტი“, გადამუშავდა კურსის მიზნები და სწავლის შედეგები, გაფართოვდა თემატიკა და მეტი აქცენტი გაკეთდა საოპერაციო რისკებზე, თუმცა ლიტერატურა კვლავ საჭიროებს გადახედვას/შევსებას უცხოური წყაროების ჩართვის მიმართულებით. სილაბუსში „საბანკო ლოჯისტიკა“ ნაწილობრივ მოხდა კურსის გადამუშავება, მაგრამ საგნის მიზანი ისევ ზოგადი/ბუნდოვანია, სწავლის შედეგების ფორმულირება უცვლელია, სავალდებულო ლიტერატურას დაემატა ერთი ახალი წყარო, თუმცა სლაბუსში არ არის მითითებული თუ რომელი ლიტერატურაა კონკრეტული თემის მასალად და ძნელი დასადგენია რამდენად პასუხობს თემის დასახელებას/შინაარსს,

სილაბუსში არ ჩანს ხდება თუ არა რაიმე პროგრამული პაკეტის გამოყენება ლაბორატორიული მუშაობის პროცესში, შესაბამისად რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულებულია, მაგრამ საჭიროებს მუშაობის გაგრძელებას;

5. კურიკულუმის რუკაში აღმოჩენილია ხარვეზები სასწავლო კურსებსა და სწავლის შედეგებს შორის ბმის თვალსაზრისით, რეკომენდირებულია რუკის დაზუსტება და შესაბამისობაში მოყვანა - ანალოგიური რეკომენდაცია გაცემული იყო კიდევ ერთ კომპონენტთან მიმართებით, რომელზე შეფასებაც უკვე გაკეთდა;

6. რეკომენდებულია პროგრამამ შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომლშიც გაიწერება სამაგისტრო ნაშრომის მიზანი, შედეგები, მეთოდები; სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევის, ხელმძღვანელისა და რეცენზენტის გამოყოფის პროცესი; სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია; ნაშრომის დაცვისა და შეფასების მექანიზმი- აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება პროგრამის წარმომადგენლებმა საჭიროდ არ ჩათვალეს, რადგან დაწესებულებას აქვს მაგისტრატურის დებულება, სადაც გაწერილია ნაშრომის თემის შერჩევის, ხელმძღვანელის და რეცენზენტის გამოყოფის პროცესი, ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია, ნაშრომის დაცვის და შეფასების მექანიზმი და სხვა.პროგრამის მიერ მითითებულ მისამართზე წარმოდგენილია „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ“, რომელიც 3 დანართისგან შედგება: დანართი 1 (მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმა); დანართი 2 (მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი); დანართი 3 (მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია).ამ დოკუმენტებში მკაფიოდ არ ჩანს ნაშრომის თემის შერჩევის, ხელმძღვანელის და რეცენზენტის გამოყოფის პროცესი, პლაგიატზე შემოწმების პროცედურა და შედეგებზე რეაგირების წესი (თუმცა ცალკე არსებობს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი“). აღნიშნულიდან გამომდინარე ისევ საჭიროებს, რომ პროგრამამ შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის საკუთარი სილაბუსი, სადაც ყველა ეს საკითხი ერთად და ნათლად იქნება გადმოცემული. ასევე, სწავლის შედეგებში, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის ნაწილში, ყურადღება უნდა გამახვილდეს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვაზე (რაც ასევე გააძლიერებს კურიკულუმის რუკის შესაბამისობებს);

7. დაინერგოს სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების პრაქტიკა სათანადო პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით - წარმოდგენილი ანგარიშის და დამატებითი დოკუმენტების თანახმად, სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატზე შემოწმების პრაქტიკა დანერგილია და ხორციელდება „Strikeplagiarism.com“ პლატფორმის პროგრამული უზრუნველყოფით. აღნიშნული პრაქტიკა რეგულირდება „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სამეცნიერო ნაშრომების პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესის“ მიხედვით;

8. აუცილებელია სტუდენტების საერთაშორისო სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში ჩართულობის და საერთაშორისო მობილობის გაზრდა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში. ამისათვის საჭიროა ინფორმაციის მიწოდების გზების მოდიფიცირება და სტუდენტების მოტივაციის ამაღლება მათი მეტი აქტიურობისთვის - აღნიშნული რეკომენდაცია სტუდენტების ინფორმირებულობის მიმართულებით სრულდება საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის, სტუდენტური სერვისების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის, ასევე ფაკულტეტის ვებგვერდით მიწოდებული ინფორმაციის საშუალებით. სტუდენტთა მოტივაციის ამაღლების მიზნით ტარდება ონლაინ შეხვედრები და სემინარები, გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ვებგვერდებზე;

9. რეკომენდებულია სტუდენტური პორტფოლიოების პროგრამაზე მორგება ან სხვა მექანიზმის შემუშავება მაგისტრანტების დასაქმების უზრუნველსაყოფად მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად - აღნიშნული რეკომენდაციის შესრულებას ადასტურებსპროგრამის მიერ დამატებით წარმოდგენილი კურსდამთავრებულთა დასაქმების ანგარიში 2020-2021 წლებში,

სადაც მოცემული კურსდამთავრებულთა სიისმიხედვით მათი უმრავლესობა მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად არის დასაქმებული;
10. რეკომენდებულია ღონისძიებების გატარება (დაფინანსება) აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და მოტივაციის გაძლიერების მიზნით, რათა მოიმატოს პროგრამის აქტივობამ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის და რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციების განთავსების კუთხით - რეკომენდაციის შესრულებაზე შესაძლებელია მსჯელობა პროგრამის მიერ დამატებით წარმოდგენილი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის ანგარიშის მიხედვით („პერსონალის აქტივობები 2020-2021 წლებში“), სადაც მოცემულია უკანასკნელი პერიოდის ღონისძიებათა ჩამონათვალი: სახელმძღვანელოების გამოქვეყნება სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტების ფარგლებში, ასევე თანადაფინანსების საშუალებით; მონაწილეობა და მოხსენებები ფაკულტეტის დაფინანსებით ორგანიზებულ IV და V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე„გლობალიზაცია და ბიზნესის თანამედროვე გამოწვევები“; და სხვა.წარმოდგენილი სერტიფიკატებით დასტურდება, რომ 2021 წლის ივლისში პროგრამის პერსონალმა გაიარა აიოვას უნივერსიტეტის სწავლა-სწავლების ცენტრის ტრენინგი „კარიერულ განვითარებაში“. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის 2021 წლის ბიუჯეტი, სადაც პროგრამის ხარჯები ცალკე არ არის გამოყოფილი, რომლითაც გათვალისწინებული იყო „სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი“ 5,000 ლარის ოდენობით, „მივლინების ხარჯები“ – 20,000, თუმცა „კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი“ ნულის ტოლია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დავით მახვილაძემ, რეკომენდაციასთან (რეკომენდებულია პროგრამამ შეიმუშაოს სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, რომლშიც გაიწერება სამაგისტრო ნაშრომის მიზანი, შედეგები, მეთოდები; სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევის, ხელმძღვანელისა და რეცენზენტის გამოყოფის პროცესი; სამაგისტრო ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია; ნაშრომის დაცვისა და შეფასების მექანიზმი) დაკავშირებით განაცხადა, რომ თუ შეხედავენ ფორმალური მიმართულებით, საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ ამბობს, რომ სილაბუსი ცალსახად სასწავლო კომპონენტს ეხება და არა კვლევითს, მოთხოვნა თავის დროზე არ იყო შესაბამისობაში კანონმდებლობასთან, კანონის მე-2 მუხლში არის განმარტება სილაბუსის შესახებ (დოკუმენტი, რომელიც იძლევა ინფორმაციას სასწავლო კურსის/მოდულის მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტების, შინაარსის, სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შეფასების კრიტერიუმებისა და ელექტრონული სწავლების გამოყენების შესაძლებლობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესახებ), რაც შეეხება საჭიროების ნაწილს, სადაც არ არის ინფორმაცია თემების გამოყოფის, ხელმძღვანელების მიმაგრების, რეცენზირებისა და ა.შ., დაწესებულებაში არსებული მაგისტრატურის დებულება პრაქტიკულად ყველა საკითხს არეგულირებს, მას დასკვნის წაკითხვისას დარჩა ეჭვი, რომ ექსპერტმა მხოლოდ დანართები ნახა, რადგან მხოლოდ 3 დანართი იყო ნახსენები, რომლებიც არის ძირითადი დოკუმენტის დანართები, რომელშიც გაწერილია ყველაფერი. აღნიშნული საკითხი რეგულირდება ცენტრალიზებული დოკუმენტით, არცერთი კითხვა არ არის დარჩენილი მასთან დაკავშირებით, პროგრამაში მითითებულია, რომ მოცემული საკითხი დარეგულირებულია ცენტრალიზებული დებულებით. შესაბამისად, აღნიშნულ პრაქტიკას გააგრძელებს დაწესებულება, რადგან რაიმე სიახლე კვლევების დროს არ დაფიქსირებულა, რომ რაიმე გაუგებრობა ყოფილიყო.
„საბანკო პროცესების მართვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, რატი ბურდიაშვილმა, მესამე რეკომენდაციის (სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების

მისაღწევად და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობის გასაძლიერებლად აუცილებელია პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის შემდგომი გადამუშავება – არსებული კურსების გადახედვა/გაღრმავება ისეთი საკითხებითა და თემებით, როგორებიცაა მაგალითად:ფინანსური ანალიზი და პროგნოზირება, ფინანსური ინსტიტუტების მართვა, სტრატეგიული მენეჯმენტი, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS), მენეჯერული ეკონომიკა) შესახებ განაცხადა, რომ საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს და ამ საკითხთან დაკავშირებით მრავალი წელია მუშაობს. 1999 წელს, როდესაც მიიღეს კანონი ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ, რომლითაც განისაზღვრა 9 წევრიანი კომისია, რომლის ერთ-ერთი წევრი თვითონ იყო, კომისიას სამოქმედოდ უნდა შემოეღო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები და მისი დანერგვა უზრუნველეყო, დღემდე საკმაოდ ჩახედულია მოცემული მიმართულებით და მის სამეცნიერო ინტერესსაც წარმოადგენს, ექსპერტის პოზიცია, რომ უნდა ისწავლებოდეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები, თუმცა აკრედიტაციის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ გაღრმავდეს ისეთი თემებით/საკითხებით, რომლებიც მოიცავს სტანდარტებს. მოქმედი სტანდარტებით ფინანსური ანგარიშგების 16 სტანდარტი არსებობს, 25 ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტი და 20 ინტერპრეტაცია, აღნიშნული 62 დოკუმენტს შეადგენს, რომელიც ჯამურად A4 ფორმატზე ნაბეჭდი 1400-1500 გვერდია, მითუმეტეს საკმაოდ მძიმე, ნორმატიული, რთული ენით ნაწერი სტანდარტებია და ამის სწავლება მიზანშეწონილი არ არის, არა მარტო მათ პროგრამაში, არამედ სხვა პროგრამებშიც, სილაბუსი ეყრდნობა ACCA-ის F7 სახელმძღვანელოს, სადაც ვერ ნახავენ რომ სტანდარტებით ხდება სწავლება, მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტებზეა დაფუძნებული. ექსპერტის მოსაზრებით ეს უნდა ყოფილიყო ბიზნესის მთელ სპექტრზე მოცული და არა მხოლოდ ბანკებით, პროგრამის ხელმძღვანელის მოსაზრებით 2008 წლამდე ცალკე, 30-ე სტანდარტი იყო, რომელიც არეგულირებდა ბანკებისა და ფინანსური ინსტიტუტების ფინანასურ ანგარიშგებას, 2008 წლიდან აღნიშნული სტანდარტი გაუქმებულია და არანაირი განსხვავება არ არსებობს დარგის მიხედვით, სტანდარტი შექმნილია ფინანსურ ანგარიშგებაში შექმნილი ელემენტების მიხედვით, ამ კუთხით არანაირი განსხვავება არ არის, თუ გაცემულია სესხი, ბანკიდან არის გაცემული თუ კერძო კომპანიისგან პროცესი ერთი და იგივე სტანდარტით რეგულირდება, თუ ძირითადი საშუალება შეიძინა, ბანკმა, სადაზღვეო და სამშენებლო კომპანიამ ერთი და იგივე სტანდარტით რეგულირდება, ამიტომ ამბობენ, რომ აღნიშნული სასწავლო კურსის სახელწოდებიდან „ფინანსური ანგარიშგება ბანკში“, რომელიც თავისი შინაარსით მოიცავს ორ ძირითად მიმართულებას: 1. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებას ელემენტებისა და იქ შემავალი მუხლების დონეზე, გაცმული სესხები, იჯარა და სხვა; ასევე, მოიცავს 2. ფინანსური ანგარიშგება საზედამხედველო მიზნებისათვის, ეროვნულ ბანკში, რაც მოქცეულია ერთ სასწავლო კურსში და ვინაიდან განსხვავებები განსხვავებები არ არის სხვა დარგებთან მიმართებით ფიქრობენ, მოცული აქვს სხვა დარგების ფინანსური ანგარიშგებაც. სასწავლო კურსში „ფინანსური ანგარიშგება ბანკში“ გათვალისწინებულია პროექტი, რომელიც შეფასებადია და სტუდენტები მუშაობენ ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე, ასევე სამაგისტრო პროგრამაში არის სასწავლო კურსი „კორპორაციული ფინანსები“, სადაც არსებობს შეფასებადი პროექტი და სტუდენტები მუშაობენ სხვა დარგების ფინანსური ანგარიშგების პროექტზე, შესწავლაზე, ანალიზზე და ა.შ. შესაბამისად მათი პროგრამა მოიცავს აღნიშნულ საკითხს, როგორც საბანკო, ასევე არა საბანკო მიმართულებითაც. სასწავლო კურსების „მენეჯერული ეკონომიკა“ და „ფინანასური ენჟინერინგი“ შესახებ, რომ სასურველია მათი სავალდებულო სასწავლო კურსებში გადატანა განაცხადა, რომ არც წინა დასკვნაში და არც აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში არ ყოფილა საუბარი, შესაბამისად უნდა იყოს არჩევით კომპონენტებში. შესაბამისად აღნიშნული რეკომენდაციები დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით შესრულებულია.

მეოთხე რეკომენდაციის (რეკომენდებულია გადაიხედოს ზოგიერთი საგნის სილაბუსი („საბანკო ლოჯისტიკა“, „რისკოლოგია“) საბანკო-საფინანსო სექტორის თანამედროვე

გამოწვევებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით) შესახებ მისი განცხადებით „რისკოლოგიის“ შესახებ უკვე იყო საუბარი, რომ წინა დასკვნის შესაბამისად მეტი აქცენტი გააკეთეს საოპერაციო რისკებზე, თუმცა საუბარი იყო ლიტერატურაზე, დაწესებულებამ შეიმუშავა ახალი სახელმძღვანელო, რომელიც გამოცემულია 2021 წელს და დაფუძნებულია უცხოურ წყაროებზე. აღნიშნულ სილაბუსში ექსპერტიც აღნიშნავს, რომ საოპერაციო რისკებზეა საუბარი, მითითებაც ასეთი იყო, თვითონ რისკებზე, ჩართულია ეროვნული ბანკის დებულება, რომელიც შექმნილია, ე.წ. ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციების შესაბამისად. „საბანკო ლოჯისტიკისკის“ შესახებ განმარტა, რომ „სასწავლო კურსის მიზანია სტუდენტს მისცეს ღრმა ცოდნა საბანკო ბიზნეს ლოგისტიკის თეორიული დებულებების, საბანკო მომსახურეობების პროცედურებისა და ბიზნეს ლოგისტიკის პრინციპების შესახებ და განუვითაროს ბანკის ლიკვიდობისა და აქტივ-პასივების სტრუქტურის ოპტიმიზაციის ამოცანების ამოხსნისათვის საჭირო უნარები“, მისი მოსაზრებით აღნიშნული მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, რომ ამ სასწავლო კურსმა უნდა გამოუმუშავოს ისეთი უნარ-ჩვევები, რომლებიც ლიკვიდურობის მართვაში გამოადგება და აქტივ-პასივების დალაგებულ სტრუქტურას უზრუნველყოფს. მისი განმარტებით ფინანსისტს მშენებლობაში, არ მოეთხოვება იცოდეს სამშენებლო კონსტრუქციები, თუ ეცოდინება კარგია, მაგრამ სავალდებულო არ არის, მაგრამ ფინანსისტს ევალება იცოდეს ბანკის, როგორც ფულის საწარმოს, რომელიც ყიდულობს, გარდაქმნის და ყიდის ფულს, აღნიშნულ საწარმოო პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფინანსისტს, ზუსტად ეს საგანი უზრუნველყოფს, რომ წარმოება იყოს უზრუნველყოფილი, ისე, რომ ბანკმა დაიცვას ლიკვიდურობაც, სივრცული განაწილებაც, პროცენტული მარჟა, ვალუტებში და ვადებში თანაფარდობა, ამიტომ მისი მოსაზრებით ძალიან მნიშვნელოვანი საგანია „საბანკო ბიზნეს ლოგისტიკა“, რომელიც სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში არ შეხვედრია და ამ კუთხით კარგი გაგებით გამონაკლისები არიან, ჰყავთ მოწვეული/პრაქტიკოსი სპეციალისტი, რომლებიც არიან ფულის გარდაქმნის ტექნოლოგები და ამ კუთხით აღნიშნული საგანი წარმოადგენს სავალდებულო დისციპლინას. დაახლოებით 2 ათეული წელია დეპარტამენტს კომპანია „ალტა სოფტვეარისგან“ გადაცემული აქვს ბანკის საოპერაციო სისტემა, ალტა B6, ბანკის საოპერაციო სისტემა ჩართულია სწავლებაში და ასევე ეს აქვთ პროგრამული უზრუნველყოფა „ბიზაგი“, რომელსაც იყენებენ სასწავლო კურსის სწავლების დროს, შესაბამისად ფიქრობენ, რომ კომპონენტი 2.2 მთლიანად შეესაბამება მოთხოვნებს.

რეკომენდაცია 10-ის (რეკომენდებულია ღონისძიებების გატარება (დაფინანსება) აკადემიური/მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის და მოტივაციის გაძლიერების მიზნით, რათა მოიმატოს პროგრამის აქტივობამ საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის და რეფერირებად ჟურნალებში პუბლიკაციების განთავსების კუთხით) შესახებ, მისი განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ კადრების მომზადება/გადამზადების გასწვრივ 0 წერია, აქვთ შიდა ტრანსფერი, რომელსაც გადასცემენ ადმინისტრაციას, რომელიც აფინანსებს პროფესიულ გადამზადებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 22:00
დასრულების დრო: 22:04

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საბანკო პროცესების მართვა“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საბანკო პროცესების მართვა“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

3. მესამე საკითხი:სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ		
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	02.06.2021, გადაწყვეტილება N MES8210000515009
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ქიმიური ინჟინერია და პროცესები - 0711
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას 69, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სასწავლო კორპუსი 2, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა ნინო იმნაძემ, დავით კაპანაძემ და ელიზბარ ელიზბარაშვილმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ციცინო თურქაძემ, განაცხადა, რომ წარმოდგენილ იქნა ანგარიში 6 თვის თავზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, გაცემული იყო 11 რეკომენდაცია, პროგრამის შეფასება აკრედიტაციის დროს იყო შემდეგი პირველი და მესამე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.მიუხედავად იმისა, რომ 6 თვე მცირე დროა, დაწესებულებამ გაითვალისწინა ყველა შესაძლო რეკომენდაცია, თუმცა გარკვეული საკითხები ჯერ კიდევ საჭიროებს მუშაობას. დაწესებულებას ასევე გათვალისწინებული აქვს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები,რომლის მიხედვითაც კიდევ უფრო წინგადადგმული ნაბიჯები ისახება ხარისხის განვითარების და პროგრამის განვითარების კუთხით. ამ მხრივ ექსპერტმა დაადგინა, რომ სამი რეკომენდაცია შესრულებულია ნაწილობრივ, შესაბამის აღწერაში კი მითითებულია თუ რატომ არის ნაწილობრივ შესრულებული და რა უნდა გაითვალისწინოს მომავალში, საუბარია რეკომენდაცია 2-ზე (გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, №6 და №8 სწავლის შედეგებისათვის, შესაბამისი სასწავლო კურსებისა და Performance Indicators (PI) წარმოდგენით); რეკომენდაცია 5-სა (გადამუშავდეს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი სწავლის შედეგების, კურსის შინაარსისა და შეფასების მეთოდების რევიზირება-განახლებით, ნათლად აღიწეროს სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაო, გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა მოვიდეს შესაბამისობაში მის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან) და რეკომენდაცია 6-ზე (გადამუშავდეს პრაქტიკული უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსი „გამოყენებითი ინფორმატიკა“ პროგრამის საჭიროებების მიხედვით. პრაქტიკული უნარების მაქსიმალური განვითარების მიზნით რეკომენდებულია სასწავლო კურსისათვის გათვლილი საკონტაქტო საათები წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ლაბორატორიული პრაქტიკუმის (პრაქტიკული სამუშაოების) ფორმატით).

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
ასოცირებული პროფესორის, მამუკა მაისურაძის, მოსაზრებით რეკომენდაცია 2-ის (გაუმჯობესდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, №6 და №8 სწავლის

შედეგებისათვის, შესაბამისი სასწავლო კურსებისა და Performance Indicators (PI) წარმოდგენით) შესახებ, №6 სწავლის შედეგზე შესაძლებელია ყოფილიყო ტექნიკური ხარვეზი, რადგან წარმოდგენილია Performance Indicators, მე-3 და მე-4 ინდიკატორი არის შესაბამისი იმ სასწავლო კურსების, საწარმოო პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის, უბრალოდ ადგილები არის არეული, რაც გამოსწორებადია.
რეკომენდაცია 5-ის (გადამუშავდეს საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსი სწავლის შედეგების, კურსის შინაარსისა და შეფასების მეთოდების რევიზირება-განახლებით, ნათლად აღიწეროს სტუდენტის მიერ შესასრულებელი სამუშაო, გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა მოვიდეს შესაბამისობაში მის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან) შესახებ მან განმარტა, რომ საჭიროა მიეთითოს, რომ ნაშრომების შესრულება მოხდება ქაღალდზე/ფორმატზე, თუ ელექტრონული სახით, საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი დამტკიცებულია სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში, მოქმედებს და დაწესებულება მიჰყვება მას, პროგრამაში გათვალისწინებულია, როგორც საინჟინრო გრაფიკა, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების ცოდნასა და უნარებს ქაღალდზე შესასრულებელი სამუშაოებისათვის, ასევე კომპიუტერული გრაფიკის საფუძვლები, რომელიც კომპიუტერული გრაფიკის დახმარებით აძლევს საშუალებას სტუდენტებს შეასრულონ ნაშრომი, ამ შემთხვევაში ისინი არ ზღუდავენ და როგორც წესი მოეთხოვებათ, რომ შეასრულონ კომპიუტერული გრაფიკის საშუალებით, მაგრამ საბაკალავრო ნაშრომის სილაბუსში არის გარკვეული საკითხები, რომლებიც შესაძლებელია სტუდენტმა შეასრულოს ქაღალდზე, განსაკუთრებით, როდესაც რთული დეტალის ნახაზს ეხება და შემდეგ მოხდეს მისი გაციფრულება, შეზღუდული არ არის მაგრამ დაწესებულება მიესალმება ელექტრონულად შესრულებას კომპიუტერული გრაფიკის გამოყენებით. თუმცაა ქვთ სპეციფიური თემები, განსხვავებულ ტექნოლოგიებს ასწავლიან, ყველას თავისი სპეციფიკა აქვს, მათი ნაწილი შესაძლებელია მთლიანად შესრულდეს კომპიუტერული გრაფიკის მეშვეობით, ნაწილი კი ფორმატზე შესრულებით.
მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით (გადამუშავდეს პრაქტიკული უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსი „გამოყენებითი ინფორმატიკა“ პროგრამის საჭიროებების მიხედვით. პრაქტიკული უნარების მაქსიმალური განვითარების მიზნით რეკომენდებულია სასწავლო კურსისათვის გათვლილი საკონტაქტო საათები წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ლაბორატორიული პრაქტიკუმის (პრაქტიკული სამუშაოების) ფორმატით) მან აღნიშნა, რომ სხდომას არ ესწრებოდა სილაბუსის ავტორი, თუმც მისი განმარტებით საუბარია, რომ ის სტატისტიკური მონაცემები, რაც ნახსენებია სილაბუსში არის ლოგიკური ფუნქციების შემადგენლობაში, რომელთა მუშაობაც მათემატიკური ლოგიკის ელემენტებს ეფუძნება, მაგრამ იმდენად მარტივ დონეზე, რომ ამ საგნის სწავლის გარეშეც არის შესაძლებელი მათი გამოყენება, ანალოგიურად სტატისტიკური ფუნქციების ის ნაწილი, რომელიც სტატისტიკური მონაცემების დასამუშავებლად არის გამოყენებული და სასწავლო კურსშიც იქნება გამოყენებული არ მოითხოვს მათემატიკური სტატისტიკის ცოდნას, ამიტომ ის მოთხოვნა შესაძლებელია თუ არა, რომ აღნიშნული სილაბუსით პირველ სემესტრში ასწავლონ ინფორმატიკა - შესაძლებელია, უბრალოდ დაწესებულების წარმომადგენლები მუშაობენ სილაბუსის დახვეწაზე, მათ სურთ შექმნან სილაბუსი, რომელიც მთლიანად იქნება მორგებული და გაითვალისწინებს ექსპერტების მოთხოვნას, რომ მეცადინეობა ჩატარებული ყოფილიყო პრაქტიკულ დონეზე, უბრალოდ ეს გარკვეულ საფეხურებს/პროცედურებს მოითხოვს.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დავით მახვილაძემ, დასძინა, რომ სპეციალურად ამ პროგრამისთვის შეიქმნება სილაბუსი აღნიშნულ სასწავლო კურსში და პრობლემა აღმოიფხვრება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრის, ეკატერინე ნაცვლიშვილის, განცხადებით, როგორც ექსპერტმა აღნიშნა, რეკომენდაციების უმეტესობა შესრულებულია, თუმცა სამი რეკომენდაცია შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესრულებული, ინსტიტუციის განმარტებით, ტექნიკური ხარვეზი იყო და

ამიტომ მოხდა ნაწილობრივ შესრულებულად შეფასება. საბჭოს წევრი დაინტერესდა შესაძლებელია თუ არა, რომ ტექნიკური ხარვეზის გამო შეფასებულიყო, როგორც ნაწილობრივ შესრულებული.
ექსპერტმა, ციცინო თურქაძემ, განმარტა, რომ ინსტიტუციამ პირველი, ნაწილობრივად შესრულებული, რეკომენდაციის შესახებ განაცხადა, რომ ეს იყო გარკვეული ტექნიკური ხარვეზი, დოკუმენტაციის შესწავლისასაც გაჩნდა ეჭვი ტექნიკურ ხარვეზზე, იმდენად სრულყოფილად ჰქონდათ ერთ სწავლის შედეგი წარმოდგენილი, მისი შესაბამისი ინდიკატორებით, რომ მეორე სწავლის შედეგის ჩამოყალიბება სირთულესთან არ იქნებოდა დაკავშირებული.სილაბუსთან დაკავშირებით დაწესებულებამ აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ მიმდინარეობს აღნიშნული სილაბუსის დახვეწა. საბაკალავრო ნაშრომთან მიმართებით, კი განმარტა, რომ უფრო მეტად საჭიროებს გარკვეულ ახსნა-განმარტებას სტუდენტისათვის თუ როგორ სრულდება საბაკალავრო ნაშრომი, რაც უნივერსიტეტის წარმომადგენლებს გააზრებული აქვთ და ბოლომდე მიიყვანენ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 22:17
დასრულების დრო: 22:25

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^6 მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ქიმიური და ბიოლოგიური ინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლოპროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

4. მეოთხე საკითხი:ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ		
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	26.01.2018, გადაწყვეტილება N19
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები - 0312
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	რ. თაბუკაშვილის ქ. №27, ქ. თბილისი, 0108, საქართველო; მ. ბროსეს ქ. №2, ქ. თბილისი, 0108
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა თეონა მატარაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად: პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტმა, ირაკლი გორგილაძემ, განაცხადა, რომ სტანდარტების ძირითადი ნაწილი შესაბამისობაშია, გაცემულია მხოლოდ 4 რეკომენდაცია.

ექსპერტმა საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1.მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის უკეთ გასაზომად, სამიზნე ნიშნულებში აისახოს სავალდებულო სასწავლო კურსების იმ ძირითადი შესაბამის აქტივობებისა და მეთოდების (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, ესსე და სხვა) წილი, რომელთა შესრულებაც ფუნდამენტურია კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევისთვის;

2.„საერთაშორისო ეკონომიკა“ გახდეს სავალდებულო სასწავლო კურსი;

3.გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება, რათა ერთმანეთისგან გაიმიჯნოს უნარი და ავტონომიურობა-პასუხისმგებლობა და გახდეს მეტად გაზომვადი;

4.მოდიფიცირდეს სასწავლო კურსი „ქართული მართლწერა“ - ბაკალავრიატის საფეხურისთვის რელევანტურ „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსად.

მისი მოსაზრებით, პროგრამა გამართულია და პროგრამის ფარგლებში შესაძლებელია კონკრეტულ შედეგებზე გასვლა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

„საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, თორნიკე შარაშენიძემ, განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები ძირითადად იზიარებენ ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებებს, არანაირი წინააღმდეგობა არ აქვთ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან, თუმცა სასწავლო კურსის „საერთაშორისო ეკონომიკის“ სავალდებულო დისციპლინადგანსაზღვრა დაწესებულების წარმომადგენლებს არ მიაჩნიათ მართებულად, რადგან აღნიშნული საკითხი იფარება სხვადასხვა სასწავლო კურსებში. ინგლისური ლიტერატურის შესახებ, მან განმარტა, რომ შესაძლებელია მოხდა გაუგებრობა, სანამ სტუდენტები გადიან ინგლისურ ენას, ინგლისურენოვანი ლიტერატურა მითითებული აქვთ, როგორც დამატებით ლიტერატურა, ხოლოუცხო ენის გავლის შემდეგ ხდება ინგლისურენოვანი ლიტერატურის ძირითად ნაწილში გადატანა.

სამართლისა და პოლიტიკის სკოლის ხარისხის მენეჯერმა, ირინა ბაქრაძემ, დასძინა, რომ დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის წარდგენის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა მოხსნა აღნიშნული რეკომენდაცია.

„საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, თორნიკე შარაშენიძემ, სასწავლო კურსის „აკადემიური წერა“ შესახებ, განაცხადა, რომ დაწესებულება ითვალისწინებს აღნიშნულ რეკომენდაციას და მოხდება საგნის მოდიფიცირება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ, განაცხადა, რომ დასკვნის აღწერილობით ნაწილში მეორე სტანდარტის ბოლოს მოცემულია, რომ შესაბამისობაშია, თუმცა დასკვნის ბოლოში წერია, რომ

მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, დაინტერესდა იყო თუ არა ეს ტექნიკური ხარვეზი და რომელი იყო საბოლოო შეფასება, მითუმეტეს, თუ ეკონომიკასთან დაკავშირებული რეკომენდაცია ამოღებულია, საბჭოსთვის გადაგზავნილ ფაილში ისევ ფიგურირებს აღნიშნული რეკომენდაცია.
ექსპერტმა, ირაკლი გორგილაძემ, განაცხადა, რომ ეკონომიკასთან დაკავშირებული რეკომენდაცია არ არის მოხსნილი, თუმცა საუბარია უცხოენოვან ლიტერატურაზე, რომელი რეკომენდაციაც მოიხსნა.
საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ, განაცხადა, რომ რეკომენდაცია დარჩენილია, თუმცა სტანდარტის შემაჯამებელ გრაფაში წერია, რომ სრულ შესაბამისობაშია, მაგრამ დასკვნის საბოლოო შეფასებაში მითითებულია მეტწილად შესაბამისობა, დაინტერესდა თუ რომელი იყო რეალური.
ექსპერტმა, ირაკლი გორგილაძემ, განაცხადა, რომ შესაძლებელია ეს იყოს ტექნიკური ხარვეზი.
საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ კომპონენტი 2.2 შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან, კომპონენტი 2.3 შეფასებულია, როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან, შესაბამისად მეორე სტანდარტში ორი კომპონენტის მეტწილად შესაბამისობამ განაპირობა სტანდარტის შეფასება, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
ექსპერტმა, ირაკლი გორგილაძემ, დაადასტურა საბჭოს თავმჯდომარის მიერ ნათქვამი.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, განაცხადა, რომ პირველი საკითხი სტანდარტულად ეხება შრომის ბაზრის კვლევას, საბჭომ იხილა ნარდობის ხელშეკრულება, ნაცვლად შრომის ბაზრის კვლევისა, მის საფუძველზე გაკეთებული რელევანტური დასკვნა და არა, ის, რომ ამ კვლევას მათთვის აკეთებენ. საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია სხვა პროგრამის მიმართ უკვე იყო გაცემული. საბჭოს წევრი დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის პოზიციას და დაწესებულების წარმომადგენლებს ურჩია, რომ უმჯობესი იქნებოდა გაეკეთებინათ არჩევითი საგნების ბლოკი, სადან იქნებოდა ისეთი დისციპლინები, როგორიცაა„საერთაშორისო ეკონომიკა“, „ეკონომიკური ურთიერთობები“, „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა“, ან თუნდაც „საგარეო ვაჭრობა“ და სტუდენტს ექნებოდა შესაძლებლობა აერჩია ერთი მათგანი მაინც, რადგან საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალობის დასრულება, თუნდაც ბაკალავრიატის დონეზე, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს ნასწავლი ექნება მხოლოდ ეკონომიკის საფუძვლები, დღევანდელ დღეს არ არის რელევანტური, ამდენად რეკომენდაცია არის სწორი და ძალიან კარგი იქნება თუ დაწესებულების წარმომადგენლები მოცემულ საკითხთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციას გაითვალისწინებენ.
სამართლისა და პოლიტიკის სკოლის ხარისხის მენეჯერმა, ირინა ბაქრაძემ, შრომის ბაზრის შესახებ განაცხადა, რომ დაწესებულებას ამ შემთხვევაში წარმოდგენილი ჰქონდა ორი კვლევა, ერთი დიდი კვლევა, რომელსაც საბჭო იცნობს და გარდა ამისა საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულებით ჩაატარეს ცალკე კვლევა, გარდა იმისა, რომ იყო ფოკუს ჯგუფები დამსაქმებლებთან, რაც ყოველ წლიურად ხდება. შრომის ბაზრის კვლევა ამ პროგრამის ფარგლებში იყო საკამოდ მოცულობითი და სხვადასხვა აქტივობებით გამყარებული, სწორედ ამიტომ არ გაუჩნდათ ექსპერტებს კითხვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, დავით წასიძემ, განმარტა, რომ მეხუთე სტანდარტშია წარმოდგენილი ორი დოკუმენტი, ერთია შრომის ბაზრის ანალიზი, მეორე კი უშუალო დამსაქმებელთან შეხვედრის ანგარიში.
„საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორმა, გიორგი კობერიძემ, „საერთაშორისო ეკონომიკის“ სასწავლო კურსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს არის არჩევითი საგანი და ასევე არის „საერთაშორისო განვითარება“, რომელიც მოიცავს საერთაშორისო ეკონომიკის საგნებს, რაც კიდევ ერთი არჩევითი საგანია, შესაბამისად საერთაშორისო ეკონომიკური საკითხები მოცემულია საგნებში და სტუდენტს შეუძლია ამ მიმართულებით არჩევანის გაკეთება, ამიტომ ვერ ითქმევა, რომ მათ

არ აქვთ ამის საშუალება, თუკი მათ ეკონომიკა აინტერესებთ სულ მცრე ორი საგნის არჩევა შეუძლიათ გარდა სავალდებულო საგნისა.
საბჭოს წევრის, მაკა კაჭარავას, განაცხადებით, კარგია რომ დაწესებულება ეთანხმება რეკომენდაციას „ქართული მართლწერის“ შესახებ, ვინაიდან ცოტა უცნაურად არის მოცემული აკადემიური წერის სწავლების საკითხი, რადგან სალექციო დრო მთლიანად ეთმობა გრამატიკის სწავლებას, ხოლო სასემინარო მეცადინეობები დათმობილია აკადემიური წერის საკითხებზე, რაც არასწორია, რადგან სასემინარო მასალა ძირითადად ეხმიანება ხოლმე სალექციო საკითხებს, თითქოს სასემინარო მასალაში მოცემულია, მაგრამ აკადემიური წერის შედეგებსა და მიზნებში ამაზე საუბარი არ არის, ძირითადად ქართული სალიტერატურო ენისა და გრამატკის საკითხებზეა საუბარი. მითუმეტეს, მერვე სემესტრში გათვალისწინებულია დასკვნითი სასწავლო პროექტი/საბაკალავრო ნაშრომი. კურიკულუმში ინგლისური ენის სწავლების შესახებ მან განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით, ეს დაწესებულების საუნივერსიტეტო მიდგომაა და შეცვლას საჭიროებს, უფრო რეალისტური სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, იკვეთება ორი პრობლემა: 1. შეუძლებელია ერთ სემესტრში ერთი კონკრეტული დონის სწავლება და სრულფასოვანი შედეგების მიღწევა, რისთვისაც მინიმუმ ორი სემესტრია საჭირო და 2. მითუმეტეს „საერთაშორისო ურთიერთობების“ პროგრამა, თუნდაც ერთი სემესტრი სტუდენტს უნდა სთავაზობდეს დარგობრივი ინგლისურის სწავლებას, რაც ძალიან მარტივად მოგვარებადია.
საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა, განაცხადა, რომ ნახა სილაბუსი „ევროკავშირის სამართალი“, რომელთან დაკავშირებითაც ურჩია დაწესებულებას, რომ გაემდიდრებინათ ახალი ლიტერატურით, რადგან წარმოდგენილია 2012 წლის გაგა გაბრიჩიძის ლიტერატურა, რაც ახლაც გამოიყენება, თუმცა ევროკავშირის მიმართებით საკითხები და ზოგადად სამართალი ძალიან სწრაფად ვითარდება და მას შემდეგ არის გარკვეული ცვლილებები, არსებობს ახალი წიგნებიც 2018-2019 წელს გამოსული, ორი ახალი სახელმძღვანელოა, ერთ-ერთი ნათარგმნიც კი არის, არამარტო წლით, არამედ შინაარსითაც ახალია ორივე სახელმძღვანელო და შესაბამისად უმჯობესია გაამდიდრონ სასწავლო კურსი. ასევე გადახედა სილაბუსს „საერთაშორისო ორგანიზაციები“, სადაც სილაბუსი ძალიან კარგად არის შედგენილი და ზოგადად შინაარსთან პრობლემა არ არის, მაგრამ მითითებული ლიტერატურა თითქმის ყველგან ინგლისურენოვანია, საბაკალავრო დონეზე კი მთლიანად ინგლისურენოვანი, არც რიდერები, არც სასწავლო მასალა ქართულ ენაზე, საინტერესოა როგორ დაძლევენ სტუდენტები, აქვს თუ არა ყველას B2 ენის დონე.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, დააზუსტა იყო თუ არა სამართლისა და პოლიტიკის სკოლის ხარისხის მენეჯერის მიერ ნახსენები კვლევა 2018 წლის კვლევა და არის თუ არა რელევანტური.
სამართლისა და პოლიტიკის სკოლის ხარისხის მენეჯერმა, ირინა ბაქრაძემ, დაადასტურა, რომ საუბარი იყო 2018 წლის კვლევაზე, რომელიც რა თქმა უნდა რელევანტურია, გარდა ამისა ყოველწლიურად ტარდება დამსაქმებლებთან შეხვედრები, დიდი კვლევის გაკეთება და თუნდაც იმ კვლევის, რაც 2018 წელს გაკეთდა, ყოველწლიურად ჩატარება ძალიან დიდ დროსა და რესურსს მოითხოვს, ყოველ წელს იმის შემოწმება თუ რა ხდება შრომის ბაზარზე არის დამსაქმებლებთან შეხვედრები, რომელსაც ყოველწლიურად ატარებენ.
„საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კოორდინატორმა, გიორგი კობერიძემ, ინგლისურენოვანი ლიტერატურის შესახებ განაცხადა, რომ შესაძლებელია რთული დასაძლევი აღმოჩნდეს, მაგრამ აღნიშნული სასწავლო კურსი არის ბოლო სემესტრში, ისიც ასარჩევად, გარანტია იმის რომ სტუდენტს გავლილი აქვს B2 ცალსახაა, თუმცა შესაძლებელია დარგობრივი ინგლისურიც იქნას შეთავაზებული, თუმცა ბოლო სემესტრში სტუდენტს არათუ დაძლეული აქვს B2 დონე, არამედ მას გავლილი აქვს სხვადასხვა აკადემიური საგნები, რომლებშიც ინგლისურ ენას საკმაოდ დიდი დრო ეთმობა, თუ სტუდენტი საჭიროდ არ ჩათვლის აღნიშნული საგნის გავლას, უბრალოდ არ აირჩევს მას. რაც შეეხება სასწავლო კურსს „ევროკავშირის სამართალი“, სამართალი ნამდვილად ძალიან სწრაფად

ვითარდება, მისი მოსაზრებით დასამატებელი/გასაახლებელია ლიტერატურა, თუმცა ამის გაკეთება შესაძლებელია არა მხოლოდ ლიტერატურის განახლებით, არამედ უშუალოდ ევროკავშირის სამართლის ბაზის გამოყენებით, რომელიც, როგორც კი განახლდება ლექტორს შეეძლება სემესტრიდან სემესტრამდე განაახლოს და სილაბუსთან ერთად შეიტანოს სასწავლო კურსში და მიაწოდოს სტუდენტს.
„საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, თორნიკე შარაშენიძე, დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია დარგობრივი ინგლისური, შესაძლებელია ლექტორს სთხოვონ, რომ მიიტანოს სტატიები საერთაშორისო ურთიერთობების თემატიკაზე, თუმცა არც ეს იქნება საკმარისი, ამიტომ პროგრამის ხელმძღვანელი ორი სემესტრის განმავლობაში ლექციაზე სტუდენტებთან ერთად უთმობს დროს, რომ წაიკითხონ წამყვანი ინგლისურენოვანი გამოცემების სტატიები საერთაშორისო ურთიერთობების თემატიკაზე, რადგან, რაც არ უნდა დაავალოს ინგლისურის ლექტორს ის არ არის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი და ისე ვერ წაიკითხავს საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ სტატიას, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი.
საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ, დასძინა, რომ მიუხედავად ამისა, საჭიროა ოფიციალურად იყოს შეთავაზებული პროფესიული ინგლისური ენა.
უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, დავით წასიძემ, დააყენა შუამდგომლობა, რომ ვინაიდან პროგრამას აკრედიტაციის ვადა გასდის 26 იანვარს, გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო სხდომის ჩატარების თარიღით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 22:50
დასრულების დრო: 23:00

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლოპროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 7 წლის ვადით, ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლოპროგრამის აკრედიტაციის მინიჭების გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 21 იანვრიდან.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 17
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:

ა) მნიშვნელოვანია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის უკეთ გასაზომად, სამიზნე ნიშნულებში აისახოს სავალდებულო სასწავლო კურსების იმ ძირითადი შესაბამის აქტივობებისა და მეთოდების (დისკუსია, დებატები, დემონსტრირება, პრეზენტაცია, ესსე და სხვა) წილი, რომელთა შესრულებაც ფუნდამენტურია კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევისთვის;

ბ) რეკომენდებულია პროგრამაში სავალდებულო გახდეს საერთაშორისო ეკონომიკის საკითხების სწავლება;

გ) პროგრამის სტრუქტურაში გადაიხედოს ინგლისური ენის სწავლების საკითხი მისი დონეების სემესტრული გადანაწილების კუთხით და ერთი კონკრეტული დონის სწავლებას დაეთმოს მინიმუმ ორი სემესტრი;

დ) პროგრამა გაძლიერდეს და შეივსოს დარგობრივი ინგლისური ენის ამსახველი საკითხებით;

ე) გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმულირება, რათა ერთმანეთისგან გაიმიჯნოს უნარი და ავტონომიურობა-პასუხისმგებლობა და გახდეს მეტად გაზომვადი;

ვ) მოდიფიცირდეს სასწავლო კურსი "ქართული მართლწერა" - ბაკალავრიატის საფეხურისთვის რელევანტურ "აკადემიური წერის" სასწავლო კურსად;

ზ) რეკომენდებულია სასწავლო კურსი „ევროკავშირის სამართალი“ შეივსოს უახლესი სავალდებულო ლიტერატურით

რჩევები:

ა) სასურველია გაფართოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი;

ბ) დამსაქმებელთა სურვილიდან გამომდინარე, სასურველია, არჩევითი სახით კურიკულუმს სტუდენტთა ციფრული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული კურსები დაემატოს;

გ) სასურველია, სტუდენტებისთვის შეთავაზებული იყოს უცხო ენების მრავალფეროვანი არჩევანი;

დ) ახალი პროგრამის შეთავაზების შემთხვევაში, სასურველია, რომ წინასწარ გაწერილი იყოს სტუდენტების მოზიდვის სტრატეგია. სასურველია არსებობდეს ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა წყაროები პროგრამის შესახებ სტუდენტთა მოზიდვის მიზნით. მაგალითად, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოქმედი მე-11 და მე-12 კლასების საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებმა მაქსიმალური ინფორმაცია უნდა მიიღონ მომავალი ინგლისურენოვანი პროგრამის შესახებ;

ე) სასურველი იქნება უფრო მეტი მემორანდუმების არსებობა და პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავება საქართველოში მოქმედ შესაბამის საჯარო სტრუქტურებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კვლევით ცენტრებთან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის კერძო სტრუქტურებთან პრაქტიკის განსახორციელებლად;

ვ) სასურველია ახალი საპროექტო წინადადებების წარდგენა ისეთი ორგანიზაციების წინაშე, როგორებიც გახლავთ ნატო (მაგ: ნატო-ს პროგრამა მეცნიერება უსაფრთხოებისათვის ფარგლებში), ევროპის დემოკრატიის მხარდამჭერი პროგრამა, დემოკრატიის ეროვნული მხარდამჭერი პროგრამა (EED) და დემოკრატიის ეროვნული მხარდაჭერის პროგრამა (NED) ა.შ.;

ზ) სასურველია პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება და დამატებითი მოტივაციის შექმნა სტუდენტებისთვის, რათა პრაქტიკული კომპონენტით დაკავდნენ;

თ) სასურველია დაწესებულების მიერ დარგის სპეციალისტებიდან, უცხოური/ადგილობრივი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან და დამსაქმებლებიდან მისაღები გარე შეფასების წინასწარ განსაზღვრული ფორმის შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური შეფასების მიზნით.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ ინგლისურენოვანი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ		
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვა / Public Health
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	26.01.2015 გადაწყვეტილება №21
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი / Master of Public Health (MPH)
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ჯანდაცვა – არაკლასიფიცირებული - 0919
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თსუ ტურიზმის სკოლის შენობა, ვაჟა - ფშაველას №44 და თსუ მედიცინის ფაკულტეტისშენობა, ბელიაშვილის №78, თბილისი

15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა მარიამ შენგელიამ, ნინო ჭალაგანიძემ, გიორგი ღაღანიძემ და თეონა მატარაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნის ფუნქციის შესრულება დაეკისრა საბჭოს წევრს, მაკა კაჭარავას.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა, რომელიც შეფასდა შემდეგნაირად:პირველი, მესამე, მეოთხე და მეხუთესტანდარტი შეფასდა, როგორც შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან; მეორე სტანდარტი შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, თამარ ლობჟანიძემ, განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 15 ნოემბერს, შედგა ონლაინ ვიზიტი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე, სრულად შედგა დღის წესრიგით განსაზღვრული აკრედიტაციის სესიები, რომელიც ჩატარდა კოლეგიალურ და მშვიდ, საქმიან, კეთილგანწყობილ გარემოში. აღნიშნული პროგრამა არის ერთ-ერთი პირველი ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა „საზოგადოებრივ ჯანდაცვაში“ და შემუშავებულია საერთაშორისო კოლაბორაციით, ნორვეგიის, ჩრდილოეთ არქტიკის უნივერსიტეტთან, აღნიშნული ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, მან სახელმწიფო დონეზე თავისი როლიც შეასრულა და კიდევ ასრულებს, აღნიშნული გუნდი და მთელი შემადგენლობა, რომელიც წარმოდგენილია პროგრამაში, ფაქტობრივად სრულად შეესაბამება ამ პროგრამისა და მისი სიძლიერის განხორციელებას.პროგრამა არის ორ წლიანი, წარმოდგენილია 120 კრედიტის მოცულობით, 30 კრედიტი ეთმობასამაგისტრო კვლევით ნაშრომს, 80 კრედიტი ძირითად, ხოლო 10 კრედიტი არჩევითი სასწავლო კურსებს. ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა რეკომენდაციები, რომელზე

საპასუხოდაც დაწესებულების წარმომადგენლებმა წარადგინეს არგუმენტირებული პოზიცია, მიუხედავად ამისა ექსპერტთა ჯგუფი დარჩა თავის პოზიციაზე

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1.(კომპონენტი 1.1) რეკომენდირებულიასაზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს, წარმოჩნდეს თუ რა ცოდნასა და უნარებს, კომპეტენციებს გამოუმუშავებს, იძლევა პროგრამა რომელიც აუცილებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელოვან გამოწვევებზე საპასუხოდ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე - არ ჩანს მკაფიოდ, ექსპერტთა ჯგუფს ძალიან კარგად ესმის რა ჩანაფიქრია მიზანში, თუმცა უნდა წარმოჩნდეს ისე, როგორც ცოდნას და უნარებს მიზნის სახით მოეთხოვება;

2.(კომპონენტი 2.1) რეკომენდირებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამაზე არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებისთვის მოხდეს სათანადო ცოდნისა და უნარების დადასტურების მოთხოვნა მიღების წინაპირობების საერთაშორისო გამოცდილებისა და პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით - აღნიშული საკითხი საკმაოდ რთულია და ყოველთვის არის მასზე საუბარი, მაგრამ ის არგუმენტაცია თუ რატომ უნდა იყოს უფრო გაფართოებული მიღების წინაპირობები იმაზე მეტად, ვიდრე არის წარმოდგენილი პროგრამაში, სადაცწარმოდგენილია ერთ-ერთი მიმართულების ეპიდემიოლოგიის ან დაავადებათა პროფილაქტიკის და ა.შ. 5 კრედიტის ფარგლებში არსებობა, არ არის საკმარისი, თუნდაც იმიტომ, რომ აღნიშნული კვალიფიკაციის ქვეშ უღრმავდებიან სამაგისტრო დონეს, რომელიც ფაქტობრივად არის იმ 7 ძირითადი მახასიათებლის მიხედვით ჩაღრმავებული, რომელიც გააჩნია საბაკალავრო დონის მახასიათებელს. თვითონ საზოგადოებრივი ჯანდაცვა სხვადასხვა ქვეყანაში სხვდასხვა ფორმატით არის წარმოდგენილი, რადგან მათ აქვთ სხვადასხვა საკანონმდებლო შეზღუდვები და სჭირდება სიღრმისეული ანალიზს;

3.(კომპონენტი 2.3)რეკომენდირებულია საგნებში „ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა I“, „ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა II“, „ჯანმრთელობის მენეჯმენტი“, „ეკონომიკა და პოლიტიკა“, „გლობალური ჯანმრთელობა“, სათანადოდ დაზუსტდეს მიზნები/სწავლის შედეგები, დაემატოს და/ან განახლდეს ძირითადი ლიტერატურა - ექსპერტთა ჯგუფს წარმოდგენილი აქვს ახსნა დასკვნაში, ხედავენ, რომ პროგრამას საგნებთან მიმართებაში აქვს ცოდნასა და შედეგბთან კორელაციის დროს გმაოხატვის უფრო მეტი საჭიროება;

4.(კომპონენტი 2.6)რეკომედირებულია შეფასების სისტემებში, რაც წარმოდგენილია ან ინტერვალების ან ფიქსირებული სახით და შესაძლებელია მოხდეს განსხვავებული შეფასებითი ქულების მინიჭება, აუცილებელია ქულის მინიჭების პირობის მკაფიო განსაზღვრა მეტი გამჭვირვალეობისა და ეფექტური უკუკავშირისთვის - დაწესებულება ნაწილობრივ დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას, რიგ შემთხვევებში აბსოლუტურად კარგად არის, რიგ შემთხვევებში კი საჭიროებს დაზუსტებას.

მისი თქმით, საბოლოო ჯამში არ არის ისეთი საკითხები, რომელიც რაიმე პრობლემურს წარმოადგენს. პროგრამა ძალიან კარგია და ქვეყნისთვის არის მიღწევა. ძალიან კარგი სტუდენტები ჰყავთ და ძალიან კარგი სამაგისტრო ნაშრომები აქვთ. ჩანს თუ როგორ არის სამეცნიერო-კვლევითი მიმართულება რეალიზებული, რიგ სტუდენტებს უკვე გამოქვეყნებული აქვთ სტატიები. ყველაფერი გაწერილია საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვაში და ექსპერტთა ჯგუფის წევრების მოსაზრებით პროგრამას უპირობოდ ეკუთვნით აკრედიტაცია.

23:15 საათზე საბჭო დატოვა მარიამ შენგელიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, დიმიტრი კორძაიამ, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს პროფესიონალური და კოლეგიალური განხილვისთვის.მისთვის ძალიან სასიამოვნოა,

როდესაც ითქვა, რომ ეს არის ქვეყნისთვის საჭირო პროგრამა, რომელიც ხორციელდება. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცეულ რეკომენდაციების ნაწილს დაწესებულების წარმომადგენლები იზიარებენ, ხოლო ნაწილთან მიმართებით აქვთ მოსაზრებები.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჩიხლაძემ, განაცხადა, რომ 5 საერთაშორისო პროექტში მიმდინარეობს სტუდენტების ჩართულობა, მათ აქვთ შესაძლებლობა გაიარონ კურსები აშშ-ში, ნორვეგიაში, რუმინეთში, გააკეთონ ერთ სემესტრიანი მობილობა, ნაშრომები გამოაქვეყნონ ჟურნალებში, რომელთა Impact ფაქტორი არის 3 და რომელში გამოქვეყნებაც, არა მხოლოდ დოქტორანტებისთვის, არამედ თვითონ მეცნიერებისათვისაც კი სასურველია. მეორე რეკომენდაციის შესახებ მან განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამა დაფინანსდა ნორვეგიის მთავრობის პროექტის ფარგლებში, მიღების წინაპირობები შემუშავდა საერთაშორისო პარტნიორებთან სამუშაო შეხვედრის ფარგლებში, სწორედ საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელიც მეტად მრავალფეროვანია, არის დაშვება არა ჯანდაცვითი კვალიფიკაციის ფართო სპექტრზე, არის მიღება დამატებითი მოთხოვნების გარეშე, მაგრამ დაწესებულებამ არ გაიზიარა ეს მიდგომა, მათ გაიზიარეს მხოლოდ უშუალო პარტნიორის მრავალწლიანი გამოცდილება, რომელზე დაყრდნობითაც არის აგებული პროგრამა.მიღება ხდება მხოლოდ რელევანტური მიმართულების სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურსდამთავრებულების, ეს არის მათთვის არა ჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტები, მათ შორის არიან სოციალური მუშაობის, სოციოლოგიის, ბიოლოგიის კურსდამთავრებული და ა.შ., ყველა ამ ტიპის აპლიკანტს ძალიან ბევრი გამჭოლი კომპეტენცია აქვს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალობასთან, მიუხედავად ამისა ტრომსოს უნივერსიტეტში მიღების წინაპირობაში არის დამატებითი მოთხოვნა: ცოდნის და უნარების დადასტურება საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროფილის ერთ-ერთ მიმართულებაში: საზოგადოებრივი ჯანდაცვა, სამედიცინო სოციოლოგია, გლობალური ჯანმრთელობა, მაგრამ დაწესებულების წარმომადგენლებმა მიღების წინაპირობების განსაზღვრისას კიდევ უფრო დააკონკრეტეს მოთხოვნის და მოთხოვნის არეალი, საზოგადოებრივი ჯანდაცვა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოიცავს 6 საკვანძო არეალს: პროგრამა სწორედ მოითხოვს ცოდნისა და უნარების დადასტურებას საზოგადოებრივი ჯანდაცვის არა მხოლოდ რელევანტური, არამედ ამ საკვანძო მიმართულებებში. პირველი დარგობრივი დოკუმენტი საქართველოში შემუშავდა სწორედ ამ 6 საკვანძო საკითხზე დაფუძნებით, რომელი დარგობრივის სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე თვითონ იყო. გამოცდილების გათვალისწინებით დასძინა, რომ დამატებით მოთხოვნა არ ადასტურებს მხოლოდ ცოდნას, არამედ ადასტურებს აპლიკანტის ინტერესს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიმართ და იძლევა მეტად მოტივირებული სტუდენტის შერჩევის შესაძლებლობას, რომელიც საბაკალავრო დონეზე ირჩევს ამათუიმ პროფილის საზოგადოებრივი ჯანდაცვის არეალს. დამატებითი მოთხოვნის მოცულობა ტრომსოში (ნორვეგიაში) განისაზღვრა 80 კრედიტის ოდენობის მოდულის გავრცელებით ქვეყანაში, შესაბამისად ამ პრაქტიკას საქართველოში ვერ გადმოიტანდნენ და შეისწავლეს სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმები/სტრუქტურა და ა.შ. კოლეგებთან თანამშრომლობით გადაწყვიტეს განესაზღვრათ 5 კრედიტი საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესაბამისი სასწავლო კურსის აღება ბაკალავრის მოტვაციის და ინტერესის შემთხვევაში. შესაძლებელია რჩევის ხასიათს ატარებდეს აღნიშნული რეკომენდაცია, რადგან იმდენად დიდი აზრთა სხვადასხვაობის არსებობაა შესაძლებელი აღნიშნული მიმართულებით. მეოთხე რეკომენდაციის შესახებ განაცხადა, რომ უკვე გათვალისწინებული და დამტკიცებულია მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს 11 იანვრის სხდომაზე, რისი გადაგზავნაც შესაძლებელია. ლიტერატურის განახლების/დამატების შესახებ მან განმარტა, რომ პროგრამის ბიუჯეტი არის 6 000 000 ნორვეგიული კრონის ოდენობით, რაც სრულად უზრუნველყოფს ლიტერატურის შეძენას, პროგრამის წარმომადგენლებმა უახლესი ლიტერატურა შეიძინეს პროგრამის შემუშავებისას, 2018 წელს ამოქმედდა პროგრამა და ერთი ციკლის დასრულების შემდეგ 2020 წელს გეგმავდნენ უახლესი გამოცემების შეძენას ნორვეგიაში, რაც ვერ განხორციელდა, თუმცა

ნორვეგიის მთავრობისგან აქვთ მოწვევა. ვიზიტი განხორციელდება აპრილში, დაწესებულება კვლავ გეგმავს ვიზიტსა და ახალი ლიტერატურის შეძენას, პანდემიამდე ჩამოიტანეს უახლესი ლიტერატურა, თუმცა ჩაითვალა რომ 1-1 ეგზემპლარი არ შეიძლებოდა ყოფილიყო საფუძველი ლიტერატურის განახლებისა, ამასთანავე დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება და სილაბუსებს დაამატეს უახლესი ლიტერატურა. შეფასების სისტემის შესახებ მან განმარტა, რომ უფრო მეტი გამჭვირვალობისთვის დაწესებულებამ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისთვის შეიმუშავა დამატებითი დოკუმენტი სილაბუსის გარდა, „სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის: შეფასების კრიტერიუმების შესახებ“, რომელშიც კრიტერიუმები არის ასახული, ესეს შეფასება ჩაშლილია უფრო მეტად და შეიცავს დეტალიზებულ რუბრიკებს. რუბრიკებზე/შეფასების სისტემაზე მუშაობა არის მუდმივი პროცესი, რომელიც თან ახლავს პროგრამას.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ საბჭო უფლებამოსილია გაითვალისწინოს მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოება, რომელიც დასკვნის წარმოდგენის პროცესში იყო, დასკვნის შემდეგ გამოსწორებულ ხარვეზებს/რეკომენდაციებს საბჭო მხედველობაში ვერმიიღებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, ელენე ჟურავლოვადაინტერესდა მიღების წინაპირობებთან დაკავშირებით, ინტერვიუს დროსაც ხომ არ გამოვლინდა რაიმე სახის პრობლემა, ხომ არ იყო ვინმე არა ჯანდაცვითი მიმართულებიდან და ჰქონდა გარკვეული უკმაყოფილება, რადგან წინაპირობებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, თამარ ლობჟანიძის, განაცხადებით შეფერხების შესახებ ექსპერტთა ჯგუფს შედეგშიც უწერია, რომ შეფერხება არ ყოფილა, ეს არის დამოკიდებულება ცოდნისა და უნარების შეძენასთან მიმართული საკითხი, რომელიც ეფუძნება პოპულაციაში გადატანას და მისი მართვის საკითხს, საზოგადოებრივი ჯანდაცვა არ წარმოადგენს მხოლოდ ინდივიდს, ის ცდის მასზე მოქმედი გარე ფაქტორების ჯაჭვს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ნანახი სტუდენტები იყვნენ ჯანდაცვითი მიმართულების სტუდენტები. ასევე, არის სხვადასხვა ტიპის პროგრამები, მაგრამ ის, რომ 5 კრედიტით განსაზღვრავენ, მაგ., პროგრამაში „ეპიდემიოლოგია“ ისწავლება წიგნით, რომლითაც ასწავლიან მედიკოსებსა და ფიზიკური მედიცინის წარმომადგენლებს, ანუ სტუდენტს კარგად უნდა ესმოდეს სამედიცინო სფერო, ადამიანი, დაავადება, დიაგნოზი, მისი განმსაზღვრელი ფაქტორები და შემდეგ იმსჯელოს პოპულაციაზე, დარგობრივად სჭირდებათ ამ საკითხებზე მუშაობა, არის თუ არა ეს შემაფერხებელი ფაქტორი ეს არის კვლევის საგანი, რადგან ამ დარგებში მიდიოდნენ ჯანდაცვის წარმომადგენლები, რომლებიც შეიძლება შეადგენდნენ 98%-ს და შეიძლება შეადგენდნენ 2%-ს არა ჯანდაცვითი მიმართულების სტუდენტები. საზოგადოებრივი ჯანდაცვა ახლა შემოდის საქართველოში, უცხოეთში კი არის შემდეგნაირად საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი ეპიდემიოლოგიაში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი გარემოს ჯანდაცვაში და სხვა, მაგრამ, როდესაც საუბარია მთლიანად საზოგადოებრივი ჯანდაცვაზე, რთულია დაეთანხმო პირობებს, რომ მხოლოდ 5 კრედიტია საკმარისი, სხვა ქვეყნებში მხოლოდ 3 წლიანია ბაკალავრიატი, შემდეგ უკვე სხვანაირად ებმის მაგისტრატურა, მედიცინის კურსდამთავრებულებისთვის და ა.შ. პირდაპირ გადადიან დოქტორანტურის პროგრამაზე. ექსპერტთა ჯგუფი ამას ამბობს, რადგან თვითონ პროგრამაში სასწავლო წიგნიც კი არის სამედიცინო სფეროსთვის განსაზღვრული, პროგრამაზე მიღების წინაპირობა არც გამოცდაა და არც გასაუბრება. ექსპერტთა ჯგუფს იმის მტკიცებულება არ აქვს აპლიკანტი დაძლევს თუ ვერ დაძლევს. მაგრამ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით ეს ასე არ არის.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ნინო ჩიხლაძემ, განმარტა, რომ სხვა ქვეყნის უნივერისტეტებს 80 კრედიტი აქვთ, მაგრამ არა საკვანძო მიმართულებებში, სამედიცინო სოციოლოგია და სხვა არ არის საკვანძო მიმართულება საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის, აღნიშნულ პროგრამას კი სწორედ საკვანძო მიმართულებებში აქვს გაწერილი 5 კრედიტი.

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა საბჭოს სხდომის 22 იანვარს გაგრძელების შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო: 23:40
დასრულების დრო: 00:00

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

კერძოდსაბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის კომპონენტი 1.1 და კომპონენტი 2.1, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; კომპონენტი 2.4, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 7 წლის ვადით, ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები ჩამოაყალიბდა შემდეგი რედაქტირებით:

რეკომენდაციები:
ა) საგნებში ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა I, ეპიდემიოლოგია და ბიოსტატისტიკა II, ჯანმრთელობის მენეჯმენტი, ეკონომიკა და პოლიტიკა, გლობალური ჯანმრთელობა, სათანადოდ დაზუსტდეს მიზნები/სწავლის შედეგები, დაემატოს და/ან განახლდეს ძირითადი ლიტერატურა;
ბ) რეკომენდებულია ხელშეკრულებებში მითითებული იყოს პრაქტიკის მიზანი, სავარაუდო პრაქტიკანტების/მკვლევარების რაოდენობით;
გ) რეკომედირებულია შეფასების სისტემებში, რაც წარმოდგენილია ან ინტერვალების ან ფიქსირებული სახით და შესაძლებელია მოხდეს განსხვავებული შეფასებითი ქულების მინიჭება, აუცილებელია ქულის მინიჭების პირობის მკაფიო განსაზღვრა მეტი გამჭვირვალეობისა და ეფექტური უკუკავშირისთვის;

რჩევები:
ა) სასურველია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანში მკაფიოდ ჩამოყალიბდეს, წარმოჩნდეს თუ რა ცოდნასა და უნარებს, კომპეტენციებს გამოუმუშავებს,

იძლევა პროგრამა რომელიც აუცილებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მნიშვნელობის გამოწვევებზე საპასუხოდ როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე;
ბ) სასურველია გასწორდეს პროგრამის სწავლის შედეგებში ცოდნის კომპონენტის აღწერაში ტექნიკური უზუსტობა;
გ) სასურველია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამაზე არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებისთვის მოხდეს სათანადო ცოდნისა და უნარების დადასტურების მოთხოვნა მიღების წინაპირობების საერთაშორისო გამოცდილებისა და პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით;

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ექვსი თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

რადგან საბჭოს სხდომა გაგრძელდა და შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის წარმომადგენლები ვერ შეძლებდნენ საკითხის განხილვაზე დასწრებას, ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, ანა ჯავახიშვილმა დააყენა შუამდგომლობა მეექვსე (შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა) და მეშვიდე (შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა) საკითხების საბჭოს 28 იანვარის სხდომაზე გადატანის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
მეექვსე (შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა) და მეშვიდე (შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე

განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა) საკითხები გადატანილია საბჭოს 28 იანვარის სხდომაზე.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 22 იანვრის 00:05 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა